ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №81832

ნომერი: AR125593

თარიღი : 24.02.2012

გაცემის თარიღი : 15.03.2012

გაცნობის თარიღი : 11.04.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გელოვანი , N 1 , (ნაკვ.1/3) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გოგიბერიძე პ/ნ 01024003841
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 23 ბ. 16

ორგანიზაცია:

- შპს რენო კოდი: 211352917

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 24.02.2012 წლის №არ125593 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 16.09.09 წ. №01/1349 ბრძანების ბათილად ცნობას. განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა: მისი ძალაში შესვლის დღიდან; მისი ბათილად ცნობის დღიდან; მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით.
შესაბამისად, კანონი გასაზღვრავს აქტის ბათილად ცნობის საფუძველს და მიუთითებს, რომ ბათილად ცნობილი შეიძლება იქნეს კანონსაწინააღმდეგო აქტი, რომელიც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს, როგორც საჯარო ასევე კერძო ინტერესებს.

აქვე დამატებით განგიმარტავთ, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გამოცხადდეს ძალადაკარგულად. ამ შემთხვევაში, ძალადაკარგულად გამოცხადებამდე დამდგარი სამართლებრივი შედეგები რჩება ძალაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, არსებობს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების რამდენიმე სამართლებრივი საფუძველი მათ შორის: ახლად აღმოჩენილი ან/და ახლად გამოვლენილი გარემოება.

შესაბამისად, თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენს მიმართ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემული 16.09.09 წ. №01/1349 ბრძანება არის კანონსაწინააღმდეგო აქტი მაშინ, უნდა მიუთითოთ ის საფუძვლები, რომლითაც დადასტურდება, რომ აქტის გამოცემისას დარღვეულია კანონის მთხოვნები და ამით ზიანი ადგება საზოგადოებრივ ინტერესებს. ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში უნდა მითითოთ ის გარემოებები, რომელთა არსებობაც ატქის გამოცემისას არ იყო ცნობილი ან/და წარმოშვა ახლა (მაგალითად: აღარ გაგაჩნიათ შეთანხმებული ატქიტეტურული პროექტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და სხვა).

ამასთან, ბრძანება - 16.09.09 წ. №01/1349, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვთ წარმოადგენს ცვლილებას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 24.10.08 წლის №01/1456 ბრძანებში. შესაბამისად, ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/1349 ბრძანების გაუქმებით ძალაშიშევა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ზემოაღნიშნული ბრძანება. იმ შემთხვევაში თუ არც ძირითადი პროექტის მიმართ აღარ გაგაჩნიათ სამართლებრივი ინტერესი მაშინ მოთხოვნილ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 24.10.08 წლის №01/1456 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გაუქმებაც.